საქმე # 330100119003230670

საქმე #1ბ/355-20

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

10 აპრილი, 2020 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე: გერონტი კახეთელიძემ

მსჯავრდებულ **ნ-—----------—---—ის** ინტერესების დამცველის, ადვოკატ **ი-------—----—---—ის** სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №0----------), **ნ-—----------—---—ის,** დაბადებულის 1-----–----------ს, საქართველოს მოქალაქის (პ/ნ №0----------), ნასამართლევის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებულის, რეგისტრირებულის და ფაქტობრივად მცხოვრების: ქ----------–----------ში, მიმართ, დანაშაულებისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, 11[1],151 მუხლის პირველი ნაწილით.

აღწერილობითი - სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **ნ-—----------—---—მა** ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე, ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში:

დაახლოებით 24 წელია ს---------- და ნ-—----------—---—ი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან და ცხოვრობენ ქ----------–----------ში. მათ ჰყავთ სამი შვილი. თანაცხოვრების პერიოდში, ს-----–----------ს მეუღლე ნ-—----------—---—ი, უმიზეზოდ, სისტემატურად აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. 2019 წლის 8 სექტემბერს, დილის საათებში, ქ----------–----------ში, ს-----–----------ს მეგობრის სახლში, ნ-—----------—---—მა იძალადა მეუღლეზე, კერძოდ, თავში დაარტყა და ხელი ჰკრა, რა დროსაც

ფიზიკური ტკივილი განიცადა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რომ **ნ-—----------—----მა** ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 8 სექტემბერს, დილის საათებში, ქ----------–----------–----------ში, მეგობარ თ----------ს სახლში, ს----------ს მეუღლე ნ-—----------—----ი დაემუქრა ჯანმრთელობის დაზიანებით, რისი საფუძვლიანი შიშიც გაუჩნდა ს-------–----------ს, რადგანაც იგი ბევრჯერ უცემია მეუღლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენით:

ნ-—----------—----ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126_1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით.

ნ-—----------—----ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, **ნ-—----------—----ს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილების თანახმად, ძირითადი სასჯელის ნაწილობრივ შეკრებისა და დამატებითი სასჯელის განსაზღვრის წესის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელიდან მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით და დამატებითი სასჯელი

ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, **ნ-—----------—---—ს** სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით და დამატებითი სასჯელი ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ნ-—----------—---—ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან - 2019 წლის 9 სექტემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ **ნ-—----------—---—ის** ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა **ი-------—-----—---—მა.**

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით მსჯავრდებულის ადვოკატი ითხოვს **ნ-—----------—---—ის** მიმართ გამოტანილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანას დანიშნული სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ზომის შემსუბუქებას, აგრეთვე, დამატებით სასჯელად დაკისრებული ჯარიმის ოდენობის შემცირებას.

საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის დასაშვებად ცნობიდან ორი კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე“.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა რა მსჯავრდებულ **ნ-—----------—---—ის** ინტერესების დამცველის, ადვოკატ **ი-------—-----—---—ის** სააპელაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ **ნ-—----------—---—ის** მიმართ, უნდა დარჩეს უცვლელი, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა

ფარგლებში, შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა მხარეთა მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული, კანონიერი და სამართლიანი განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ **ნ-—----------—----ის** დანაშაულებრივ ქმედებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

საქმეზე შეკრებილი, მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის ,,დ" პუნქტის საფუძველზე, პრეიუდიციად მიღებული მტკიცებულებების, კერძოდ, დაზარალებულისა და მოწმეების - ს-----–----------ს, თ----------ს, ი----------–----ის გამოკითხვის ოქმების, სასამართლოში ბრალდებულ ნ-–----------–----ის მიერ დანაშაულის აღიარების, 2019 წლის 9 სექტემბერს გამოცემულ №0----- შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის (თანდართული ფოტოცხრილით) და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შეფასების და გაანალიზების შემდეგ სააპელაციო პალატა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ **ნ-—----------—-----მა** ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და 11[1],151 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განმარტავს, რომ საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს იმ ბრალდების ფორმულირების ფარგლებში, რაც სახელმწიფო ბრალმდებელმა გამოძიების ეტაპზე დადგენილად მიიჩნია, ხოლო სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. იმავდროულად, სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რიგ გადაწყვეტილებებზე, რომლებშიც ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ არ არის სავალდებულო, სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს დეტალურ პასუხს (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Suominen v. Finland*, 24/07/2003; № 37801/97; §34; ასევე *Van de Hurk v. the Netherlands,* №16034/90; 19/04/1994; §61). მთავარია, ეროვნულმა სასამართლოებმა ნათლად დაასახელონ თავისი მსჯელობის განმაპირობებელი ასპექტები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Georgiadis v. Greece,* № 21522/93; 29/05/1997; §43).

სააპელაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე

დეტალური პასუხის გაცემას. აღნიშნული უფლება ზედა ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევს, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Hirvisaari v. Finland, პარ. 30).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ **ნ--—----------—---—ის** მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის, აგრეთვე, დამატებითი სასჯელის - ჯარიმის ზომის შემცირების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“), რომელიც მიზნად ისახავს ქალების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან. დასახელებული კონვენციის 35-ე მუხლით ასევე დადგენილია ფიზიკური ძალადობისგან დაცვის ვალდებულება.

ევროპის საბჭოს კონვენციით „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ (CETS No. 210, „სტამბულის კონვენცია“) აღიარებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, ევროპაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთერთ ყველაზე უფრო სერიოზულ ფორმას წარმოადგენს. კონვენცია ვრცელდება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმაზე, მათ შორის ოჯახურ ძალადობაზე. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ არის ყველაზე მრავლისმომცველი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ებრძვის ადამიანის უფლებების ამ სერიოზულ დარღვევას. ეს კონვენცია მიზნად ისახავს ნულოვანი ტოლერანტობის მიღწევას ამგვარი ძალადობის მიმართ და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ევროპისა და მის ფარგლებს მიღმა მდებარე ქვეყნებს უფრო უსაფრთხო ადგილად ქცევისათვის. კონვენციის ქვაკუთხედია ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. კონვენცია მოუწოდებს საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით მამაკაცებსა და ბიჭებს, შეცვალონ მათი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ და ამგვარად, სათანადო ცვლილებები გამოიწვიონ თითოეული ადამიანის გულსა და გონებაში. არსებითად, ეს არის ხელახალი მოწოდება ქალებსა და მამაკაცებს შორის მეტი თანასწორობისაკენ, რამეთუ ქალთა მიმართ ძალადობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები საზოგადოებაში არსებულ ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობაში და საზრდოობს შეუწყნარებლობით, ან კიდევ პრობლემის არსებობის უარყოფის ჩვეულებით.

კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ.

კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა მიესაჯოს, როდესაც მსხვერპლი მისი ოჯახის წევრია.

სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს აღნიშნული კვალიფიკაციით ჩადენილი დანაშაულის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ ოჯახში ძალადობა საფრთხეს უქმნის და მავნე გავლენას ახდენს არა მხოლოდ იმ ოჯახის წევრებზე (განსაკუთრებით მცირეწლოვან პირებზე), სადაც ძალადობა ხორციელდება, არამედ ზოგადად საზოგადოებაზე. ზოგადად ქალთა მიმართ ძალადობა (რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი) კი გლობალური პრობლემაა, რაც ეწინააღმდეგება კანონის მიერ ადამიანისთვის მინიჭებულ უფლებებს, ზღუდავს ქალთა ჩართულობას სოციალურ ცხოვრებაში და წარმოქმნის გენდერზე დაფუძნებულ შეზღუდვებს. მართალია, **ნ-—----------—---—ის** მიერ კონკრეტულ შემთხვევაში ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებებს, მტკიცებულებები არ გახადა სადავოდ, მაგრამ სააპელაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სასჯელი (სახე და ზომა) დაკავშირებული უნდა იყოს არა მხოლოდ დანაშაულთან, არამედ დამნაშავესთანაც. დანიშნულ სასჯელსა და ჩადენილ დანაშაულს შორის ყოველთვის უნდა არსებობდეს პროპორციულობა, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეზე, არამედ დანაშაულის ხასიათზე, დამნაშავის წარსულ ცხოვრებასა და მის დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ღირებულებების მიმართ. ამასთანავე, სააპელაციო პალატა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მსგავსად, ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ **ნ-—----------—---—ი** წარსულში განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პიროვნებაა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის განაჩენით იგი გასამართლებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განაჩენთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 5 (ხუთი) წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ჯარიმა 10 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თუმცა მისთვის დანიშნული და პირობითად ჩათვლილი სასჯელი არ აღმოჩნდა ეფექტური და შემაკავებელი ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად და მან პირობითი სასჯელის გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა ახალი, განზრახი

დანაშაულის ორი ეპიზოდი. ამდენად, სახეზეა საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის რეციდივი, ხოლო საქართველოს სსკ-ის მე-58 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. სააპელაციო პალატა ასევე აცხადებს, რომ საქართველოს სსკ-ის 53[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ცალსახად წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 11$_1$,151 მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებაში), რა დროსაც ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ **ნ-—----------—----—ს** პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და 11$_1$,151 მუხლის პირველი ნაწილით გათვალიწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელების ზომა სწორად, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად აქვს განსაზღვრული, ამდენად, მსჯავრდებულის ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - მსჯავრდებულს შეუმსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელების ზომა - სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და ვერ იქნება დაკმაყოფილებული. რაც შეეხება დამატებითი სასჯელის - 10 000 (ათი ათასი) ლარის ჯარიმის ოდენობის შემცირებას, რასაც ასევე ითხოვს დაცვის მხარე სააპელაციო საჩივრით, პალატა აცხადებს, რომ აღნიშნული მოთხოვნაც მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან აღნიშნული დამატებითი სასჯელის სახე და ზომა დანიშნულია არა გასაჩივრებული განაჩენით, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის განაჩენით (დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება), განაჩენთა ერთობლიობით აღნიშნული სასჯელი განსაზღვრულია საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად და პალატა სამართლებრივად მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს აღნიშნული დამატებითი სასჯელის ოდენობის შემცირებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. პალატა განმარტავს, რომ სასჯელის სამართლიანობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თითოეული დანაშაული და მისი ჩამდენი პირი თავისი ინდივიდუალურობით ხასიათდება, შესაბამისად, ამ გარემოებების

გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი უნდა იყოს თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილ დანაშაულთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი კი სასამართლოს ასევე ავალდებულებს სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს სხვადასხვა გარემოებები, მათ შორის დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს **ნ-—----------ის** მიერ ჩადენილი ქმედებების განხორციელების სახესა და ხერხზე, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომაზე, კერძოდ, ზემოხსენებული მტკიცებულებებით დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ **ნ-—----------ი** დაზარალებულს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე ფიზიკურად ძალადობდა მასზე, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც ოჯახში, ისე ქუჩაში და სხვის საცხოვრებელ სახლში, გარეშე პირების თანდასწრებით, იგი უმიზეზოდ ეჭვიანობდა და ლანძღავდა მეუღლეს, სხვების თანდასწრებით უწოდებდა „ბოზს“, „სუკას“, აფურთხებდა, შეასხა წყალი.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების სახე, დამნაშავის პიროვნება, განზრახი დანაშაულის ორი ეპიზოდის ჩადენა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში (დანაშაულის რეციდივი) - არ იძლევა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ **ნ-—----------ისათვის** დანიშნულ სასჯელთან დაკავშირებით რაიმე სახის შეღავათების გამოყენების საფუძველს. **ნ-—----------ისათვის** დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული ძირითადი სასჯელი - 2 (ორი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ასევე დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, არ წარმოადგენს მკაცრ სასჯელს, სასჯელის შემსუბუქება (სხვა არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნა) იქნება არასამართლიანი და პალატის მოსაზრებით, თავიდან ვერ იქნება აცილებული ახალი ძალადობრივი დანაშაული. პალატას მიაჩნია, რომ **ნ-—----------ის** მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელები ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნების განხორციელებას, ამასთან, გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციისა და იქნება დამაფიქრებელი მისთვის, უკეთ გააცნობიეროს მეუღლის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროების, გასაკიცხაობის ხარისხი და გამოწვეული შედეგის სიმძიმე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო,

წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენი **ნ-—----------—---—ის** მიმართ, არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელები არის სამართლიანი, რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ **ნ-—----------—---—ის** ინტერესების დამცველის, ადვოკატ **ი-------—----—---—ის** სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი **ნ-—----------—---—ის** მიმართ, უნდა დარჩეს უცვლელი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილით, 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ **ნ-—----------—---—ის** ინტერესების დამცველის, ადვოკატ **ი-------—----—---—ის** სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ითქვას უარი;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ **ნ-—----------—---—ის** მიმართ, დარჩეს უცვლელი;

ნ-—----------—---—ი ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით;

ნ-—----------—---—ი ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და **ნ-—----------—---—ს,** დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის განაჩენით განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი - 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილების თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 1 (ერთი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან - თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით და დამატებითი სასჯელი ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და **ნ-—----------—----ს, საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის და 6 (ექვსი) თვის ვადით და დამატებითი სასჯელი ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;**

მსჯავრდებულ **ნ-—----------—----ს** თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან - 2019 წლის 9 სექტემბრიდან;

ნივთიერი მტკიცებულებები:
საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

ელექტრონული დისკი - შენახულ იქნას საქმის შენახვის ვადით;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოტანისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ.№6), მისი გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: **გ. კახეთელიძე**